ხაშურის მოამბე

№3 (184) 21 იანვარი, ორშაბათი, 2019 წელი

სოფლების მხარდაჭერის პროგრამა განახლდა

ორწლიანი შეჩერების შემდეგ, მთავრობის დადგენილების საფუძველზე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა განახლდა. სოფლებში პროექტების შერჩევის პროცედურები უკვე დაწყებულია. რა პროექტები დაფინანსდება, როგორ გადანაწილდება თანხები სოფლების მიხედვით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი ისაუბრებს:

–მიმდინარე წელს, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, გამოგვეყო 422 000 ლარი, მოგეხსენებათ, რომ სოფლის მხარდაჭერის პროექტი 2016 წელს,მთავრობის განკარგულების საფუძველზე, შეჩერდა, სასიხარულოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროექტი აღდგა. გასულ წელთან შედარებით,წელს თანხები შემცირებულია. თუმცა,გაწერილია პრიორიტეტული მიმართულებები, ესენია: გარეგანათებები, სანიაღვრე არხების მოწყობა, გზების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, საბავშვო სტადიონები, სკოლების შემოღობვები. ის მავნე პრაქტიკა, როგორიც იყო სარიტუალო დარბაზების მშენებლობები, აღნიშნული პროგრამით, შეწყვეტილია. 71 სოფელია წელს, რომელიც მიიღებს აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას, თანხები გამოყოფილია დასახლებების მიხედვით. თანხის განაწილება ახალი დადგენილების თანახმად, შემდეგნაირად განისაზღვრება: იმ დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 5000 ლარი, დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს,გამოეყოფა 6000 ლარი, დასახლებას,რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 8 000 ლარი; დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს,გამოეყოფა 10 000 ლარი. 25 იანვარს დავასრულებთ მოსახლეობასთან შეხვედრებს, სადაც უკვე გამოიკვეთება პრიორიტეტები,მოხდება პროექტების შედგენა და დაიწყება სამუშაოების წარმოება. მთავრობის განკარგულებით, პირდაპირი წესით მოხდება შემსყიდველების მოძიება,რაც საშუალებას მოგვცემს,უმოკლეს ვადებში დავასრულოთ სამუშაოები. ვფიქრობთ,რომ ივნისის ბოლომდე დავასრულებთ სამუშაოებს. როგორც უკვე აღვნიშნე, მოსახლეობასთან შეხვედრები უკვე სისტემატურად მიმდინარეობს და სამუშაოების დასრულების შემდეგ,მოხდება მონიტორინგი,ინფორმაცია საჯარო იქნება და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, შეუძლია მიიღოს ინფორმაცია. რადგან ეს პროექტი ერთგვარი სტარტაპია, მომავალ წელსაც გაგრძელდება გაორმაგებული თანხებით. მესმის, რომ პრობლემები და გასაკეთებელი საქმე ბევრად მეტია, მაგრამ ასეთი ნაბიჯებით, ნელ-ნელა შევძლებთ მათ მოგვარებას. მინდა აღვნიშნო, ისიც, რომ გარდა სოფელზე კონკრეტულად გამოყოფილი ფულადი რესურსისა, თუ მუნიციპალიტეტი ჩათვლის, რომ მნიშვნელოვანი პროექტია, შეუძლია თანადაფინანსებაც.

სასწავლო დაწესებულებებში გრიპის ვირუსის პრევენციისთვის შესაბამისი სამუშაოები ჩატარდა

საქართველო და უშუალოდ ჩვენი რაიონი სეზონურმა გრიპებმა მოიცვა. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო სიფრთხილისკენ და დროული ჩარევისკენ მოუწოდებს მოსახლეობას, სავალალო შედეგების აცილების მიზნით. როგორც იცით, საქართველოს განათლების სამინისტრომ,ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, მიიღო გადაწყვეტილება, რომ სკოლებმა, ბაღებმა და სასწავლებლებმა სწავლა 21 იანვრიდან განაგრძოს. გრიპის ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, სასწავლო დაწესებულებებს ეძლევათ რეკომენდაცია არდადეგების პერიოდი დამატებით გამოიყენონ სკოლის შენობებში სადეზინფექციო სამუშაოების ჩასატარებლად, სასწავლო პროცესის აღდგენის შემდგომ, სისტემატურად დასუფთავების სველი წესით საკლასო ოთახები და დერეფნები, შესაბამისი ხსნარებით გაიწმინდოს მერხები და სკამები, სასკოლო ინვენტარი. ამ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარი ხაშურის განათლების რესურსცენტრის უფროსს ზვიად გოგუაძეს და საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელს დავით ნოზაძეს ვთხოვეთ.

ზვიად გოგუაძე (ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი): – რესურსცენტრის მონიტორინგის ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს სეზონური გრიპების ირგვლივ შექმნილ მდგომარეობაზე. სკოლებს აქვთ დავალება ჩვენგან, რომ სველი წესით დამუშავდეს ყველა საკლასო ოთახი და სკოლის მთლიანი ტერიტორია, გარდა ამისა, უნდა ჩაატარონ სადეზინფექციო სამუშაოები სპეციალური ხსნარების საშუალებით, რომლებიც სკოლებმა უკვე შეიძინეს. ეს პროცესი სკოლებში უკვე დაწყებულია და რასაკვირველია, სკოლის დაწყებამდე უნდა დამთავრდეს, გარდა ამისა, ჩვენგან დავალებაა, რომ ყოველდღე, სწავლის დასრულების შემდეგ, ყველა კლასი დასუფთავდეს სველი წესით. ამჟამად, საგანგებო მდგომარეობაა შექმნილი სკოლებში, რომელიც სავარაუდოა, რომ გაზაფხულის პირველ დეკადამდე გასტანს.

დავით ნოზაძე (ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების – საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი): – ბაღებში სადეზინფექციო სამუშაოები არამარტო გრიპების პერიოდში, არამედ ყოველ წელს ინტენსიურად მიმდინარეობს. საბავშვო ბაღებისთვის ახლა შემოგვაქვს ვადიანი ხსნარები, სხვადასხვა საგნების სადეზინფექციოდ. განსხვავებით სკოლისგან, ბავშვი იძინებს საბავშვო ბაღში, საკვებს იღებს, შესაბამისად, სიფრთხილეს არ ვაკლებთ. აგრეთვე, ჩავუტარეთ ტრენინგები საბავშვო ბაღის პედაგოგებს, აღმზრდელებს და მზარეულებს, ავუმაღლეთ კვალიფიკაცია ასე, რომ 21 იანვრიდან სრული დატვირთვით დავიწყებთ სწავლას.

– ბატონო დავით, თემას გადავუხვევთ და მკითხელის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, გვაინტერესებს რა მდგომარეობაა, ამჟამად, შუშის ქარხნის დასახლების საბავშვო ბაღში?

– სწორედ, ახლახანს მივიღეთ დასტური ტენდერზე, რომელიც ავეჯით უზრუნველყოფას გულისხმობს. ტენდერი უკვე გამოცხადდა რბილ ქსოვილებზეც: საბნებზე, ბალიშებზე და ა.შ. როგროც იცით, შუშის ქარხნის დასახლების საბავშვო ბაღი თანამედროვე სტანდარტებით აშენდა, თუმცა მოსაპირკეთებელია ეზო. დარჩენილ სამუშაოებს უახლოეს მომავალში შევასრულებთ და ბაღიც ამუშავდება, რომელიც სამ ჯგუფზე იქნება გათვლილი. ამასთან, დავამატებ, რომ ამ ბაღთან ერთად, გაიხსნება ტეზრისა და სატივის საბავშო ბაღები.

14 იანვარს, როგორც მთელს ქვეყანაში, ხაშურშიც აღინიშნა ქართული დროშის დღე და ქალაქის ცენტრალური მოედანი და მერიის შენობა ქართულმა დროშებმა დაამშვენა (შესაბამისი მასალა იხილეთ მე-2 გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგის, ხელოვანის და შესანიშნავი ხაშურელის - ქალბატონი

ნანი გაჩეჩილაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს და მეგობრებს.

14 იანვარს, მთელს საქართველოში, ეროვნული სიმბოლოს - ქართული დროშის დღე აღინიშნა

საქართველოს სახელმწიფო დროშა - საქართველოს ეროვნული სიმბოლოა გერბთან და ჰიმნთან ერთად, შემოღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ხელმოწერის შემდეგ 2004 წლის 14 იანვრიდან.

ამ კანონით დადგენილი საქართველოს სახელმწიფო დროშა არის საქართველოს სახელმწიფო დროშის ერთადერთი ვარიანტი. აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო დროშად

სხვა დროშის გამოყენება. იგი ადგენს საქართველოს სახელმწიფო დროშის, როგორც სახელმწიფო სიმბოლოს, აღწერილობას, მისი გამოყენებისა და დაცვის წესს.

საქართველოს სახელმწიფო დროშა არის მართკუთხა თეთრი ფერის ქსოვილი, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული სწორკუთხა წითელი ფერის დიდი ჯვარი; ჯვრის ვერტიკალურ-ჰორიზონტალური მკლავებით გამოყოფილ ოთხკუთხედებში გამოსახულია ოთხი იმავე ფერის, ბოლნურ-კაცხური ჯვარი. საქართველოს სახელმწიფო დროშის სტანდარტული ზომები და ზუსტი გამოსახულება დგინდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. დროშის მიმდინარე ვერსია დადგენილია პრეზიდენტის 25 იანვრის №31 ბრძანებულებით.

დროშის აგების წესი, სქემა

საქართველოს სახელმწიფო დროშა მუდმივად აღიმართება: საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და სხვა ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოების ადმინისტრაციულ შენობებზე, აგრეთვე საზღვარგარეთ არსებული საქართველოს საელჩოებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლობების შენობებზე, საზღვაო გემებსა და საზღვაო მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომელთა მიწერის ადგილი საქართველოს ტერიტორიაა.

დროშის შესახებ

საქართველოს დროშაზე მოცემული გამოსახულება - ვერცხლის (თეთრ) ფონზე ერთი სწორკუთხა ჯვარი, კუთხეებში ოთხი მცირე ჯვრით - ზოგადქრისტიანული სიმბოლოა, რომელიც მაცხოვარსა და ოთხ მახარობელს განასახიერებს. ეს ზოგადქრისტიანული სიმბოლო, როგორც ჰერალდიკური ნიშანი, პირველად 1099 წელს, ჯვაროსან გოდფრუა ბუიონელის გერბზე

დაფიქსირდა, ვინაიდან ამ პიროვნებამ მაცხოვრის საფლავის მცველის ტიტული მიიღო. ამ პერიოდიდან, ეს ჰერალდიკური ნიშანი მაცხოვრის საფლავს და ამავე დროს ქრისტიანობის ცენტრს, იერუსალიმს განასახიერებს.

იგი სამი სახელწოდებით არის ცნობილი: გოდფრუა ბუიონელის გერბი, იერუსალიმის გერბი და წმინდა ნიშანი. ვერცხლი (თეთრი) ჰერალდიკურად უმანკოებას, უბიწობას, სიწმინდეს, სიბრძნეს აღნიშნავს, ხოლო წითელი - სიმამაცეს, ვაჟკაცობას, სამართლიანობას და სიყვარულს. ეს დროშა საქართველოს ტერიტორიის აღმნიშვნელად დაფიქსირდა ანჯელინო დულჩერის პორტულანზე (1339წ.) და ფრანჩესკო და დომენიკო პიციგანების პორტულანზე (1367წ).

დროშის დღე

საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე აღინიშნება იანვრის თვის 14 რიცხვში, საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიღების დღეს.

სახელმწიფო დროშის დღე პირველად 2012 წლის 14 იანვარს აღინიშნა, ღონისძიება მარჯანიშვილის მოედანზე გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, მონაწილეებმა გამოფინეს საქართველოს დროშები, მარჯანიშვილის მოედანზე აღმართეს საქართველოს დიდი დროშა, ხოლო პატარა დროშები უბრალო გამვლელებს დაურიგეს.

ადრეული საქართველოს დროშები

ადრეული საქართველოს დროშები სხვადასხვაგვარი იყო. ცალ-ცალკე არსებობდა სახელმწიფო დროშა, საეკლესიო, ლაშქრის. სახელმწიფო დროშას სამეფო დროშა ეწოდებოდა (სხვაგვარად სეფე-დროშა). XI-XVI საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროები ქართულ სახელმწიფო დროშას იხსენიებენ, როგორც „გორგასლიან და დავითიანს“. იგი იყო ერთიანი საქართველოს სიმბოლო. ეს დროშა ვახტანგ გორგასლის დროიდან უნდა მოდიოდეს და თეთრი ფერისა უნდა ყოფილიყო, მიმაგრებული წითელ ჯვრიან ბუნზე. სომეხ ისტორიკოსთა ცნობით თეთრ დროშაზე რაღაც ნიშანი იყო დატანილი, თუმცა უცნობია კონკრეტული გამოსახულება. არსებობს სხვა ცნობაც, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფო დროშაზე წმიდა გიორგის გამოსახულება იყო აღბეჭდილი. ამ ცნობას იძლევა შუა საუკუნეების პოლონელი მოგზაური კოტოვიჩი, რომელსაც უნახავს იერუსალიმში სალოცავად მოსული ქართველები, ქართული სახელმწიფო დროშით. გადმოცემით, „გორგასლიანი და დავითიანი“ დროშა მე-19 საუკუნემდე არსებობდა და იგი ქუთაისის სამეფო ზარდახანაში ინახებოდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში კი, ახალციხის ბრძოლის დროს, იგი თურქებს გაუტაციათ.

XIII-XIV საუკუნეებში თეთრი ალმის გვერდით ჩნდება შავიც, მასზე თეთრი ტოლმკლავიანი ჯვრით. ფიქრობენ, რომ იგი დავით ნარინმა

შემოიღო დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების შემდეგ. XV საუკუნეში, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის პერიოდიდან, დროშათა ნარისახეობაც გამრავლდა. ქართლის სამეფო დროშა მოწითალო შინდისფერი გახდა. დასავლეთ საქართველოში კი დამკვიდრდა თეთრი დროშა.

დამოუკიდებელი საქართველო (1918-1921, 1990-2004)

საქართველოს დამოუკიდებლობის მოკლე ხნის განმავლობაში, 1918-21 წლებში, მიღებული იყო სამფერი დორშა. დიზაინი შერჩეულ იქნა ეროვნული დროშის დიზაინის კონკურსით, რომელშიც მხატვარი იაკობ ნიკოლაძის იდეამ გაიმარჯვა. დროშა 1921 წელს საქართველოს რევკომმა გააუქმა საქართველოს ანექსიის შემდგომ და ის მხოლოდ 1990 წლის 14 ნოემბერს აღადგინეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით. ამ დროშამ მოგვიანებით პოპულარობა დაკარგა, ვინაიდან საბჭოთა კავშირისგან საქართველოს დამოუკიდებლობის ქაოტურ და სისხლიან პერიოდთან ასოცირდებოდა.

საბჭოთა საქართველო (1921-1990)

საბჭოთა პერიოდში საქართველოში წითელი საბჭოთა დროშის რამდენიმე ვარიანტი იყო მიღებული, რომელზეც ან საქართველოს სსრ-ის სახელი იყო აღბეჭდილი, ან წითელი ნამგალი და ურო ვარსკვლავით ლურჯ მზესა და ლურჯ ზოლზე დროშის ზედა ნაწილში, ეს დროშა საქართველოს მთავრობამ გააუქმა 1990 წელს საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის გამოცხადებისას.

ვინ ამახინჯებს ისტორიას?

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ხმ“, #2)

ოსებმა ისარგებლეს საქართველოს დასუსტებით და მონღოლთა მხარდაჭერით. ცდილობდნენ შიდა ქართლში სამოსახლო ადგილების მოპოვებას. ეს ფაქტობრივად “საპოლიციო რაზმები”, განსაზღვრული პერიოდის შემდეგ მეფე გიორგი V ბრწყინვალემ გააძევა საქართველოდან (“განასხნა და აღფხურნა”). ამის შემდგომ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებმა კარგა ხნით მტკიცედ ჩაკეტეს ოსეთის ხეობებიდან საქართველოში შემოსასვლელი ორივე კარი (დარიალი, კასრის-კარი) და განსაზღვრული დროით შეაჩერეს ოსთა საქართველოში მიგრაცია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ოსებს უფრო ადრეც ჰქონდათ მცდელობა საქართველოში დამკვიდრებისა. მაშინაც, ისინი უცხო ძალას ეყრდნობოდნენ, მაგალითად IX საუკუნის შუა ხანებში არაბმა მხედართმთავარმა ბუღა თურქმა დარიალის გადმოსასვლელით 100 ოჯახი ოსი შემოიყვანა და ქვემო ქართლში - დმანისში დაასახლა. წყაროებით არ ჩანს შემდგომში რა ბედი ეწია ეთნიკური ოსების ამ 100 ოჯახს. სავარაუდოდ, ისინი ან მალევე ასიმილირდნენ ქართველთაგან, ან გავიდნენ საქართველოდან. XIII საუკუნის შუა ხანებში, მონღოლთა ხანის ბრძანებით, მეფე დავით VII-მ მიიღო მონღოლთა მოკავშირე ოსთა სამხედრო რაზმები და საცხოვრებლად დმანისი და ჟინვანი მისცა. არც ამ სამხედრო რაზმების შემდგომი ბედია ცნობილი. ყოველ შემთხვევაში არავითარი ოსური ეთნიკური ანკლავი, რაიმე ცალკეული ოსური დასახლება ქართული წყაროებით ამ ქალაქებში ან საქართველოს რომელიმე ტერიტორიაზე არ ჩანს.

კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული საქართველოს პროვინციაში - დვალეთში ოსების შემოსახლება XV საუკუნის ბოლოდან იწყება. ეს პროცესი აქ ძირითადად მიმდინარეობდა XVI საუკუნეში, XVII საუკუნეში კი დვალეთში დასრულდა ადგილობრივ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის - დვალების ასიმილიაცია ოსების მიერ. ოსების დვალეთში დასახლებამდე, ოსების თარეშისა და ლაშქრობების გამო დვალების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართლში, იმერეთსა და რაჭაში განსახლდა. ადგილზე დარჩენილი დვალები ოსების ეთნიკურ-ენობრივ გარემოში ამ უკანასკნელთა აქ ჯგუფური შემოსახლებისა და გამრავლების შედეგად ასიმილირდნენ. ქართველი მთიელი დვალები იყვნენ წარმოშობით: ხადურები, ჩიფჩიურები, ბიგულები, თვაურები, ჩოჩოურები (იგივე ჩოჩიშვილები), ბეღელურები, გუდიაურები, ბაგაურები, გერგაულები, თაბაურები, ხერხეულიძეები, ქესაურები, ფარუხაულები, ბიგანები (ბიგანიშვილები), ხაბარელები, ხეთერელები, ხაჩიურები...

ოსური გადმოცემებიც ადასტურებს, რომ ოსური ეთნოსი დვალეთში ბრძოლით არის მოსული. დვალეთში ფეხის მოკიდების შემდგომ ოსებმა, შიდა ქართლის მთიანეთში გადმოინაცვლეს.

ოსების შიდა ქართლში მიგრაცია ძირითადად დვალეთის გზით ხორციელდებოდა. დვალეთსი მოსახლეობის ეთნიკურ ცვლილებას ამ პროვინციის საქართველოდან ჩამოცილება არ მოჰყოლია. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთელ პერიოდში და რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგაც დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრ ბარიატინსკის 1858 წლის 3 აპრილის ბრძანებით დვალეთი, ანუ როგორც შემდეგ უწოდებდნენ ნარას უბანი (შედიოდა თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში), რომლის ფართობიც 3, 581 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა, ჩრდილოეთ კავკასიის თერგის ოლქის “ოსეთის სამხედრო ოლქს” შეუერთდა.

საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე ოსთა პირველი დასახლებები ჩნდება თრუსოსა (მდინარე თერგის სათავე) და მაღრან-დვალეთში (მდინარე დიდი ლიახვის ხეობის სათავე). ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობიდან XVII საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი და პატარა ლიახვის ხეობები) ქართველთა ნასოფლარებით იყო მოფენილი. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა აქედან აიყარა და ბარში ჩასახლდა. ვახუშტი ბაგრატიონი ხაზგასმით წერდა, რომ დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ოსები ქართველთა ნასახლარებზე დაფუძნდნენ: “ხოლო რაოდენნი ოვსნი დავსწერეთ, ამ ადგილთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომთა მეპატონეთაგან მათგან გადმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბარსა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემსირებულან.”

რუსი ელჩის, მიხეილ ტატიჩევის (1604-1615) ჩანაწერით ჩერქეზეთსა და საქართველოს შორის მხოლოდ 200-სულიანი ოსური დასახლება არსებობდა. დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ზემო ჯავაში XVII საუკუნის შუა ხანებში ოსური მოსახლეობა რომ ჯერ კიდევ არ მკვიდრობდა ჩანს ერთი დოკუმენტიდან. საბუთში წერია, რომ “ა, ოწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან, ღმერთი იყოს მოწამე, ასრე ამოწყდა, რომ კაცის ნაშენები აღარა იყო რა.” საბუთში ლაპარაკია იმაზე, რომ ზემო ჯავაში ადგილობრივი მოსახლეობა ოსთა თავდასხმებისა და მეკობრეობის შედეგად ამოწყდა.

1634-1658 წლების საბუთით, მეფე როსტომი თავის მოხელეებს უბრძანებს არაფერი დაუშავოთ ოსეთიდან აყრილ და ჯავის ზემოთ დასახლებულ ოსებს და თუ ვინმე კვლავ ჩამოსახლდება ოსეთიდან, არც მას შეუშალოთ ხელიო.

ქართველი მეფეები და თავადები ზოგჯერ თვით იწვევდნენ ოსებს დასასახლებლად ქართველთა ნასოფლარ-ნასახლარებში. ოსები საქართველოში XVII საუკუნის შუა ხანებიდან რომ არიან მიგრირებულნი ამას მათი გადმოცემებიც ადასტურებს - ყველა გვარს აქვს გადმოცემა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში 10-12 თაობის წინ გადმოსახლების შესახებ. თუმცა ოსმა “მეცნიერებმა” გამოსავალი აქაც მოძებნეს და ეს მიგრანტები ბოლო, მეორე ტალღის მიგრანტებად მონათლეს და შემოიღეს ცნება - “უწინდელი ოსები”, რომლებიც თურმე უფრო ადრე იყვნენ საქართველოში გადმოსახლებულნი და ქართველებმა ისინი გააქართველეს. საამისოდ ასამდე ქართული გვარ-სახელის მატარებელი ძირად ოსებად მიიჩნიეს ანუ მათებური ტერმინი რომ ვიხმაროთ - “უწინდელ ოსებად”.

ოსები თანდათან მოიწევენ სამხრეთისკენ და XVIII საუკუნის 30-იანი წლებისთვის ითვისებენ დიდი ლიახვის და პატარა ლიახვის ხეობათა მთიან ზოლს მთლიანად. აქ, აღნიშნულ პერიოდში, ზოგიერთ მთიან სოფელში ოსები თანაცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ ქართულ მოსახლეობასთან.

მთელ XVIII საუკუნის განმავლობაში, ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში, ფაქტობრივად, არსად არ იყვნენ განსახლებულნი. ოსთა მიერ შიდა ქართლის მთისწინეთის სოფლებში (უფრო ხშირად ნასოფლარებში) ჩასახლება იწყება XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში.

XVIII საუკუნის დასაწყისში, ოსები სახლდებიან ჯეჯორის ხეობის სათავეში (კუდარო) და ქსნის ხეობის სათავეში (კუდარო) და ქსნის ხეობის სათავეში (ჟამური). ჟამურში ოსების მიგრაცია ხდება როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან, ასევე დიდი ლიახვის ხეობის მთიანი ზოლიდან, სხვათა შორის, ცნობილი ოსი მეცნიერი ვასილ აბაევიც აღნიშნავდა, რომ ქსნის ხეობაში ოსები სულ 200 წლის წინ დასახლებული არიანო. კუდაროში ისინი ძირითადად მიგრირებული არიან დვალეთიდან. შიდა ქართლის მთიანეთში ოსები ჯერ ესახლებიან დიდი ლიახვის ხეობაში, შემდეგ პატარა ლიახვის ხეობაში, ქსნის სათავეში (ჟამურში) XVIII საუკუნის დასაწყისში მცირე რაოდენობით ოსური მოსახლეობა ჩნდება მეჯუდას ხეობის სათავესა და ისროლისხევში. მეჯუდას ხეობის სათავეში ისინი პატარა ლიახვის ხეობის სათავიდან გადმოდიან.

XVIII საუკუნის შუა ხანებისთვის, ოსები რომ მხოლოდ შიდა ქართლის მთიანეთში, უვენახო-უხილო ადგილებში მკვიდრობდნენ, კარგად ჩანს ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს ატლასიდან. ოსების დასახლებები მას აღნიშნული აქვს სიმბოლოთი - “Ბ”.

XVIII საუკუნის ბოლოსთვის, სამხრეთით ოსთა განსახლების უკიდურესი პუნქტები იყო (დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით): კუდარო (მდინარე ჯეჯორის სათავე რაჭაში) - გუფთა (მდ. დიდი ლიახვის ხეობა) - აწერისხევის ხეობის ზემოთ (პატარა ლიახვის ხეობაში) - მეჯუდის ხეობის სათავეში ორი სოფელი - ჟამური (ქსნის ხეობის სათავე) - ღუდა (მდ. თეთრი არაგვის ხეობის სათავე მთიულეთში) - თრუსო (მდ. თერგის სათავე). XVIII საუკუნის ბოლოსთვის ოსები საერთოდ არ იყვნენ ლეხურას ხეობაში, მეჯუდას ხეობაში (მისი სათავის გამოკლებით), ქსნის ხეობის მთიანეთის დიდ ნაწილში, ფრონეების ხეობაში.

სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც ვახუშტი ბაგრატიონის დროს, ისე XVIII საუკუნის დასასრულს, ოსები საქართველოს ცალკეული ხეობების მხოლოდ “უვენახო-უხილო” ზონაში, ანუ “მთის ადგილებში” ცხოვრობდნენ.

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, ოსები იკავებენ პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს. ამ პერიოდიდან და განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ათეულ წელს, ხდება ოსთა გაეთნვითი ანუ ინდივიდუალური განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში. ამ დროისთვის ოსთა ასეთი განსახლება განსაკუთრებით განხორციელდა პატარა ლიახვის ხეობის მთიანი მონაკვეთიდან (XIX საუკუნეში ოსთა მთიდან მთისწინეთსა და ბარში გადანაცვლების ფაქტები აღნუსხულია 1818, 1830, 1840, 1860, 1873, 1886 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერის დავთრებსა და საოჯახო სიებში).

XVIII საუკუნის დასასრულიდან ფაქტობრივად შეწყდა ოსთა მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით, რადგან რუსეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ მათ დასახლების საშუალება მისცა ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში. განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ დვალეთის ოსური მოსახლეობა, რომლებსაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაცია არ შეუწყვეტიათ თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში. საერთოდ, ოსების საქართველოს ტერიტორიაზე განსახლება უმეტესად დვალეთის გზით ხორციელდებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან დვალეთში შემოსახლებული განსაზღვრული ხნით აქ დამკვიდრების შემდეგშიდა ქართლის მთიანეთში გადმოდიოდნენ საცხოვრებლად. თუმცა, არაერთი ფაქტია დადასტურებული ოსთა გადმოსახლებისა უშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან. განსაკუთრებით მიგრაციის ადრეულ, საწყის ეტაპზე.

სინამდვილეს არ შეესაბამება ზოგიერთი ავტორის მტკიცება XVII-XVIII საუკუნეებში შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში ოსთა განსახლების შესახებ. XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება ოსთა მიგრაცია ფრონეების ხეობაში, მეჯუდას ხეობაში, ლეხურას ხეობაში და ქსნის ხეობის მთიანეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში. ფრონეების ხეობაში ოსების მიერ ქართველთა ნასოფლარებში დაფუძნება ხდება ძირითადად დიდი ლიახვის ხეობიდან, თუმცა თვალში საცემია, რომ პირველი ოსი მიგრანტები ფრონეების ხეობის ქართველთა ნასოფლარებში, დვალეთიდან წამოსული ოსები იყვნენ. პატარა და დიდი ლიახვის ხეობებიდან გადმოდის მოსახლეობა მეჯუდის ხეობაში. ლეხურას ხეობაში ოსების მიგრაცია ძირითადად ქსნის ხეობიდან (ჟამური, ჭურთა) ხდებოდა. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის პირველ სამ ათეულ წელს ლეხურას, მეჯუდასა და ფრონეების ხეობებში ოსთა დასახლკარებას ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია. ინტენსიურად ამ ხეობების მოშენება ძირითადად მოხდა XIX საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, ვიდრე 1880-იან წლებამდე.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩნდება თითო-ოროლა ოსური ოჯახი შიდა ქართლის გაღმამხარში, სადაც მათი მიგრაცია ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდნენ ოსები დღევანდელი ბორჯომის რაიონში (გუჯარეთის ხეობა).

კახეთსა და ქვემო ქართლში ოსები შიდა ქართლის მთიანეთიდან XX საუკუნის დასაწყისში გადასახლდნენ. XX საუკუნის ბოლო საბჭოთა აღწერით, ოსების რაოდენობა საქართველოში 164 ათასი ადამიანი იყო. ამ რაოდენობიდან “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის” ტერიტორიაზე მხოლოდ 65 ათასი ეთნიკური ოსი ცხოვრობდა. თითქმის 100 ათასი კი დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე მკვიდრობდა, ზოგან კომპაქტურად, ზოგან ქართულ მოსახლეობაში შერეული.

1886 წელს, ეთნიკური ოსები 72, 000-ს ითვლიდნენ საქართველოში. XVIII საუკუნის დასარულს, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე 2, 130 კომლი (15, 000 სული) ოსი ცხოვრობდა. ზოგიერთი ოსი ავტორი კი XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველოში ოსთა რაოდენობას ხან 6, 000 და ხან 7, 000 კომლით განსაზღვრავს, რაც არარეალურია და წყაროთა მონაცემებს არ ითვალისწინებს. სინამდვილეში, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამ ეთნოსის რაოდენობა 2, 130 კომლი იყო. საერთოდ, მთელი - საუკუნეების განმავლობაში ოსების პროცენტული რაოდენობა საქართველოში 3-დან 4-მდე მერყეობდა.

ოსების საქართველოში შემოსვლა და დასახლება მთლად მშვიდობიანი არ ყოფილა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში მომწყვდეულმა ოსებმა ზოგჯერ ძალით გამოიკაფეს გზა. განსაკუთრებით ეს ითქმის მიგრაციის ადრეულ ეტაპზე როგორც დვალეთში, ისე შიდა ქართლის მთიანეთში. საისტორიო საბუთებით, გადმოცემებითა და ფოლკლორული მასალებითაც აშკარაა, რომ ადგილობრივი მთიელი ქართველი გლეხები ოსთა თავდასხმებით შეწუხებული, ტოვებდნენ მამა-პაპათა საცხოვრებელ ადგილებს და ბარში სახლდებოდნენ. ბარში კი მათთვის ამ თვალსაზრისით ხელსაყრელი მდგომარეობა იყო. მტერთა ხშირი თავდასხმებისგან შიდა ქართლის მთისწინა და ბარის რეგიონები დემოგრაფიულად კატასტროფამდე იყო მისული.

დვალეთისა და შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა მიგრაციას ერთგვარად ხელი შეუწყო აგრეთვე იმდროიდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ მტერთა ხშირი თავდასმხებისგან დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველო ვეღარ აკონტროლებდა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსასვლელ ჩამკეტ კარებს - კასრის კარსა და დარიალს.

სხვათა შორის, კასრის კარი დვალეთის ჩრდილოეთით მდებარეობდა, საიდანაც ოსეთში იყო დასასვლელი. მის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: “და არს კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, დიდკამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი”.

მომდევნო პერიოდისთვის (XVIII საუკუნე) იმდენად დაეცა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და იმდენად კატასტროფული შეიქმნა დემოგრაფიული სიტუაცია შიდა ქართლში, რომ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურები (მეფე, თავადები) თავად უწყობდნენ ხელს და ხშირად იწვევდნენ ოსებს საქართველოში დასასახლებლად. მაგალითად, იოანე ბაგრატიონის მიხედვით, სოფელ დიღომში თუ დიღმის სიახლოვეს ოსებს უცხოვრიათ. დიღომთან ოსების დროებით მკვიდრობის დამადასტურებელია XIX საუკუნის დასაწყისის სოფელ დიღმის მოსახლეობის კამერალური აღწერები, რომლებმაც არც ერთი კომლი ოსი და ოსურძირიანი გვარი არ არის მითითებული, აგრეთვე 1799 წლის ერთი საბუთი, რომელიც გაცემულია მეფე გიორგი XII-ის მიერ თაგაურელი ოსებისადმი. საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ თაგაურელ ოსებს გამოუთქვამთ სურვილი საქართველოში გადმოსახლებისა. ამისთვის მეფეს ოსეთში გაიგზავნია აზნაური ნინია გაბაშვილი. გადმოსახლების მსურველ ოსებს მეფე უთვლის, რომ თქვენ იქნებით ჩვენი სახასო გლეხები და სხვას არავის ექნება თქვენთან საქმეო. პირველ ხანებში თქვენ უნდა მოხვიდეთ დიღომში და გაჩერდეთ აქ, შემდეგ კი შეგირჩევთ კარგ ადგილს, რომელიც მოგეწონებათ. სანამ ხვნა-თესვას მოეკიდებით, ჩვენ მოგეხმარებით სურსათ-სანოვაგის მომარაგებაშიო. დიღომთან ოსების დროებითი მკვიდრობა ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე აქ 32-33 კომლ ოსს უცხოვრია. იმის გამო, რომ ოსები ქურდობდნენ (დიღმელ გლეხებს ჭაპანი და ღვედიც არ დაუტოვეს), დიღმელ გლეხებს ოსები სახრეებითა და კეტებით გაუყრიათ. მათ ოსები ბებრის ციხემდე მიუცილებიათ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, შიდა ქართლის მთიანეთისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მთისწინეთის არაერთ სოფელში ოსთა ერთ თაობაზე მეტს არ მოუწია ცხოვრებამ. მთისა და მთისწინეთის ამა თუ იმ სოფელში მცირე ხნით მკვიდრობის შემდეგ ოსები უფრო სამხრეთით ეშვებოდნენ. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის მასალებზე თვალის გადევნებით. XIX საუკუნის დასაწყისში, მთისწინეთის სოფლებში დასახლებულნი, ამავე საუკუნის შუა ხანებიდან ინტენსიურად გადადიან საცხოვრებლად ბარის სოფლებში. ასე რომ XVIII საუკუნის ბოლოდან და მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, საქართველოს მაღალმთიანეთის სოფლებიდან დაბლობის მიმართულებით, ოსთა თანდათანობითი, ინტენსიური წინ წამოწევა აშკარაა, რასაც უდავოდ მიესადაგება ქართულ ისტორიოგრაფიაში ხმარებული ტერმინი “ჩამოწოლა”, იმდენად დიდი მოძრაობა ახასიათებდათ ოსებს, რომ საუკუნის მეორე ნახევარში ბარის სოფლებში დასახლებული, ბარისავე სხვა სოფლებში გადადიოდნენ საცხოვრებლად. 1886 წლის საოჯახო სიებით, მდინარეების - დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მთის 76-ზე მეტი სოფლიდან საუკუნის 60-70-იან წლებში 1340 კომლზე მეტი ოსი აყრილა და ბარის სხვადასხვა სოფლეში დამკვიდრებულა.

ოსები რომ დიდი ხნის ჩამოსახლებული არ იყვნენ შიდა ქართლის მთიანეთში, ამის დამადასტურებელია მათი სოციალური მდგომარეობაც. საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში დიდი ლიახვის ხეობაში მოსახლე ოსების საკმაოდ დიდი ნაწილი ხიზნებადაა ჩაწერილი. ხიზანი კი, როგორც ქართული აისტორიო წყაროებითა და სათანადო გამოკვლევებით ცნობილია, საკუთარი სამკვიდრებლიდან აყრილი და სხვაგან თავშეფარებული გლეხია.

1922 წელს, საქართველოში, ბოლშევიკმა ხელისუფლებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამოყალიბეს და პირველად საქართველოში ოსებს ადმინისტრაციული ერთეული შეუქმნეს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ეფფილი შიდა ქართლის ფეოდალური ერთეულების ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა ისე, რომ ქართველი ხალხის ინტერესები არავის გაუთვალისწინებია. ავტონომიური ოლქის ცენტრად კი შიდა ქართლის მთისწინეთის ზოლში მდებარე პატარა ქალაქი ცხინვალი გამოაცხადეს. შემორჩენილია XIX საუკუნის რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის დავთრები. XIX საუკუნის ყველა აღწერით ცხინვალში არც ერთი ეთნიკური ოსი არ ცხოვრობდა. მხოლოდ 1830 წლის ცხინვალის აღწერაშია 1 ოჯახი ეთნიკური ოსი (5 სული) მითითებული, რომლებიც აქ მოდან 1828 წელს მოსულან და მალევე აქედანაც აყრილან. 1886 წლის საოჯახო სიებით ცხინვალში არც ერთი ოსი არ მკვიდრობდა. ქალაქი, ისევე როგორც შუა საუკუნეებში კვლავ დასახლებული იყო ქართველებით, ქართულენოვანი სომხებით და ქართველი ებრაელებით. XIX საუკუნის I მესამედის ავტორ, ედუარდ აიხვალდის მიხედვით, “ოსები ცხინვალის იქითა მხარეს, მთებში ცხოვრობდნენ. ადრე ისინი ცხინვალს გაუთავებლად ძარცვავდნენ და ხოცავდნენ. ახლი კი ქართველებს, ცხინვალის მოსახლეობას თავს ანათვლინებენ”.

პირველად მხოლოდ 1922 წლის მონაცემებითაა ქალაქ ცხინვალში დაფიქსირებული ოსური მოსახლეობა - 613 სული. 1926 წელს აქ უკვე 1152 სული ოსი ცხოვრობდა (ქალაქის მოსახლეობა მთლიანად 1926 წელს 5, 352 სულს შეადგენდა). ეს მატებაი რა თქმა უნდაი მექანიკური მატების ხარჯზე ხდებოდა. ცხინვალში ოსურმა მოსახლეობამ ქართულ მოსახლეობას მხოლოდ მაშინ გადააჭარბა, როდესაც აქაური ქართველი ებრაელები საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებში ისრაელში წავიდნენ და მათი სახლები ჯავის რაიონიდან ჩამოსახლებულმა ოსებმა დაიკავეს.

როლანდ თოფჩიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი)

ქალაქის განვითარებასა და სილამაზეზე ზრუნვა არამხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ თითოეული მოქალაქის მოვალეობად მიგვაჩნია

ძვირფასო ხაშურელებო, მეგობრებო, საახალწლო დღეებში მუნიციპალიტეტის მერიამ არაერთი თქვენგანისაგან მიიღო მადლობა ქალაქის საახალწლოდ გალამაზების და განათების გამო. ჩვენ მადლობას ვუხდით თითოეულ ადამიანს, ვინც საკუთარი, თუნდაც კრიტიკული აზრი გამოხატა. განსაკუთრებით გვახარებდა, როცა ვხედავდით, რომ პატარები, ახალგაზრდები და საერთოდ, ყველა თაობის ადამიანები შეჰხაროდნენ მორთულ ქალაქს, იღებდნენ სამახსოვრო ფოტოებს, იზიარებდნენ საახალწლო განწყობას და სიხარულს.

თუმცა, დიდი გულისტკივილით უნდა განვაცხადოთ, რომ ამ ორიოდე დღის წინ, გვიანი ღამით დაუდევარი და უსულგულო ადამიანების მიზანმიმართული განზრახვით, მძიმედ დაზიანდა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე განთავსებული საახალწლო მორთულობა - მანათობელი ირმები და ბურთები.

დანაშაულის შესახებ ინფორმირებულია შესაბამისი უწყებები. მიმდინარეობს გამოძიება. იმედია, დამნაშავე კანონის შესაბამისად დაისჯება, მაგრამ ჩვენი გულწრფელი თხოვნაა, მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ საზოგადო ქონებას, რომელიც თითოეული ჩვენგანის საკუთრებაა. აქვე ვიტყვით იმასაც, რაც თითოეულმა ხაშურელმა ისედაც იცის: საახალწლო მორთულობა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე განთავსებული იყო იმგვარად, რომ ადამიანის მიერ მისი შემთხვევით დაზიანება აბსოლუტურად გამორიცხულია.

გული გვტკივა, რომ მსგავს საკითხებზე მსჯელობა გვიწევს, მაგრამ საზოგადოების ინფორმირება ამ მეტად მტკივნეულ პრობლემაზე მაინც გადავწყვიტეთ, რადგან ქალაქის განვითარებასა და სილამაზეზე ზრუნვა არამხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ თითოეული მოქალაქის მოვალეობად მიგვაჩნია.

მუნიციპალიტეტის მერია

ბიოჰუმუსი – 100% ეკოლოგიურად სუფთა – ორგანული სასუქი

თანამედროვე მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ადამიანს შეუძლია დააჩქაროს ნიადაგის პროდუქტიულობის აღდგენა, შექმნას „ცოცხალი მიწა". სწორედ ამ პროცესს ემსახურება ბიოჰუმუსის შეტანა ნიადაგში.

ყველა განვითარებულ ქვეყანაში პრიორიტეტული ხდება ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტების წარმოება. ამიტომ დღითი-დღე მატულობს ეკოლოგიურად სუფთა ორგანული სასუქების წარმოება გამოყენება.

ბიოჰუმუსი წარმოადგენს ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალურ, ბიოლოგიურად აქტიურ ორგანულ სასუქს, რომელიც მიიღება ორგანული ნარჩენების გადამუშავების მეთოდით, სადაც მთავარ როლს წვიმის ჭია (ჭიაყელა) ასრულებს.

ბიოჰუმუსი არის კონცენტრირებული ორგანული სასუქი. მასში დაბალანსებულია მთელი რიგი კომპლექსური საკვები ნივთიერებები.

მასში შედის მცენარისათვის აუცილებელი მიკრო- ელემენტები, ფერმენტები, ნიადაგის ანტიბიოტიკები, ვიტამინები, მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი ჰორმონები და

რაც მთავარია ჰუმინური მჟავების მთელი კომპლექსი.

ბიოჰუმუსი და მისგან მიღებული ბიოპრეპარატების ინტენსიური გამოყენება სწრაფად აღადგენს დაუძლურებულ ნიადაგის აგრო-ტექნიკურ მაჩვენებლებს. საგრძნობლად ამცირებს ნიადაგში ნიტრატებისა და ქიმიურ ნარჩენების დონეს, ასუფთავებს მძიმე მეტალებისაგან, აფერხებს პათოლოგიური მიკრო-ფლორის განვითარებას.

ასუფთავებს სავარგულებს სარეველა ბალახისგან, ბიოჰუმუსის გამოყენება საგრძნობლად ამცირებს მინერალური სასუქების და შხამ-ქიმიკატების რაოდენობას და დონეს, ზრდის მოსავლიანობას და ამცირებს ცოცხალი შრომის დანახარჯებს.

ბიოჰუმუსის მომხმარებელთა წრე ძალიან ფართოა, კერძოდ: ყველა ბიოპროდუქტების მწარმოებელი ფირმა თუ ფერმერი, სასათბურე და სანერგე მეურნეობები, მევენახეობის თუ მებოსტნეობის სფეროები, ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურები, სპორტული მოედნების მომსახურე ფირმები, ყვავილების მოყვარული ყველა დიასახლისი თუ ოფის-მენეჯერი.

ჭიაყელის ბიომასა უნიკალური და საკმაოდ ძვირადღირებული საკვები დანამატია, ბიოჰუმუსი — ეს არის 100%-იანი ორგანული სასუქი და ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღების ერთ-ერთი გარანტი.

მოქმედების ეფექტი მისი ნიადაგში შეტანიდან 4-5 წლის განმავლობაში გრძელდება, სხვადასხვა კულტურებში მოსავლიანობას ზრდის 30-70%-ით.

ბიოჰუმუსი აბსოლუტურად უვნებელია ნებისმიერი სახის ნიადაგისათვის.

ბიოჰუმუსის უპირატესობა:

- არ შეიცავს სარეველა ბალახის თესლებს;
- არ შეიცავს პათოგენურ მიკროფლორას;
- არ შეიცავს მძიმე მეტალებს;
- არ გააჩნია ადაპტაციის პერიოდი;
- არ გამოირეცხება ნიადაგიდან;
- ასუფთავებს ნიადაგს ნიტრატებისაგან;
- ამდიდრებს ნიადაგს ყველა საჭირო მიკროელემენტებით;
- მცენარე ბიოჰუმუსს პრაქტიკულად 100% ით ითვისებს.

ბიოჰუმუსის უპირატესობის მაჩვენებლები ნაკელისა და მინერალური სასუქების მიმართ

ბიოჰუმუსი როგორც ვიცით წარმოადგენს უნიკალურ მიკრობიოლოგიურ მინერალურ სასუქს, რომელიც მიიღება შინაური ცხოველის ნაკელისა და სხვადასხვა მცენარეული ნარჩენების გადამუშავებით ჭიაყელის მიერ.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიწები სწრაფად კარგავენ აგროქიმიურ და ბიოტექნიკურ მაჩვენებლებს, თანამედროვე სასუქები კი იწვევენ ნიადაგის დაბინძურებას ნიტრატებითა და მძიმე მეტალებით. ესენი კი აუარესებენ პროდუქტის ხარისხს და ხშირ შემთხვევაში მათ ხდიან ჯანმრთელობისათვის სახიფათოს.

ბიოჰუმუსის მთავარი დირსება სწორედ ნიადაგის გაჯანსაღებაა. იგი საგრძნობლად აუმჯობესებს ნიადაგის აგროქიმიურ მაჩვენებლებს, იზრდება ნიადაგის აერაციული დონე, მატულობს ჰიდროლოგიური მონაცემებიც.

ყველაფერი აქედან გამომდინარე, მაღლდება საერთო პროდუქტიულობა, საგრძნობლად უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი და ხდება პრაქტიკულად ეკოლოგიურად სუფთა.

რაც შეეხება ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ამ მხრივადაც მომგებიანია ბიოჰუმუსის მასშტაბური გამოყენება.

ნაკელისა და მინერალური სასუქის ეფექტურობა ნიადაგში შეტანიდან მესამე წელს ფაქტიურად ნულს უტოლდება, ჰუმუსი კი მუშაობას განაგრძობს 5-6 წელი. მინერალური სასუქი აჩქარებს როგორც კულტურულ ასევე სარეველა მცენარეების ზრდა-განვითარებას.

ბიოჰუმუსის ხშირი შეტანა კი ფაქტიურად ასუფთავებს ნიადაგს სარეველებისაგან რადგან ნაკელისაგან განსხვავებით მასში არ არსებობს მათი თესლები. აქედან გამომდინარე, ძირეულად მცირდება მექანიკური შრომის დანახარჯი სარეველებისაგან განთავისუფლებისათვის.

1 ჰა ფართობის მქონე ტერიტორიაზე თუ საჭიროა 40-60 ტ. ნაკელის შეტანა, იგივე ეფექტი მოაქვს 3-5ტ. ჰუმუსის შეტანას. ე.ი.აქაც იზოგება ცოცხალი შრომა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახური

ხაშურის მუნიციპალიეტში გავრცელებული გვარების ისტორიისათვის

ვაგრძელებთ ისტორიკოს თამაზ ლაცაბიძის ნაშრომის „ხაშურის მუნიციპალიტეტში გავრცელებული გვარების ისტორიისათვის“ პუბლიკაციას. დღეს ბოლოკაძეების და დაბრუნდაშვილების გვარების ისტორიას გაეცნობა მკითხველი.

ბოლოკაძე

გვარ-სახელი მცირერიცხოვანია.. 1995 წელს საქართველოში დაფიქსირებულია 148 ბოლოკაძე (თბილისი - 49, ქარელი - 18, რუსთავი - 11).

ალ. ღლონტი აფიქსირებს მეტსახელს - ბოლოკა, რაც საფუძვლად უდევს გვარსახელს.

ხაშურის რაიონისთვის ერთ-ერთი ძირძველი გვარსახელია, კომპაქტურად გვხვდება ხაშურში.

რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთრით გვარსახელი გვხვდება სოფელ ურთხვაში - ბოლოკაძე იმარინდო და შინდარაში - ბოლოკაძე დათუნა.

დოკუმენტებში ბოლოკაძე დადასტურებულია შინდარაში. შემაზა ბოლოკაძე 1720 წლის 1 იანვარს ემოწმება გიორგი ჩხეიძის მიერ იესე ჯაბადრიშვილისადმი მიცემულ გირავნობის წიგნს.

სხვა შემთხვევაში, ხაშურის ჭალის მდებარეობის განსაზღვრის დროს, ქაიხოსრო აბაშიძე იშველიებს ბოლოკაძის მიწას. 1794 წლის 15 ნოემბერს იგი წერს: „ხაშურის ჭალა, სურამიდამ რომ შარა გამოვა, ფონი რომ არის, ის არის... ბედიანისშვილისა და ბოლოკაძის მიწა შარას გვერდზედ აქვს ფონს გაღმა“.

სოლომონ აბაზაძის 1771 წლის 4 აპრილის არზის თანახმად, მისი ორი „მემკვიდრე კაცი ბოლოკაძე და სვიმონა“ იასე დიასამიძეს ჰყავდა დასაკუთრებული. იგი თხოვს ერეკლე მეფეს, რომ თავის „კაცის წყალობა“ უყოს. საკითხის გარკვევის შემდეგ, ერეკლე ავალებს იასაულს იოსებ ელიოზისშვილს „აუყაროს“ ბოლოკაძე და სოლომონ აბაზაძეს მიაბაროს.

1776 წლის 2 ნოემბერს, სოლომონ აბაზაძე აღნიშნულ საკითხზე იულონ და ვახტანგ ბატონიშვილებთან ჩივის: „ორი კომლი ჩვენი სამკვიდრო კაცები ბოლოკაძეები მორდალო დიასამიძეს იესეს ჰყავს. ხელმწიფე მამის თქვენის ოქმიცა გვაქუს და იასაულიცა. მაგრამ იასაულმა თავს არ შეიდო გევედრებით, ერთის ოქმისა და იასაულის წყალობა გვიყოთ, როგორც ხელმწიფის ოქმში იყოს ბრძანებული, ისე აგვიყაროს და მოგვაბაროს.

ბატონიშვილები გოგია მაჩაბელს ავალებენ რომ „ამათ როგორც ბატონის მამის ჩვენის ოქმი ჰქონდესთ, ამათის კაცების საქმე იმგვარად უნდა გაურიგო, ამაზე ბეჯითად უნდა მოიქცე, თუ ჩვენი ხათრი გაქვს“.

ბოლოკაძეები შინდარაში ცხოვრობენ. ამის დასტურია 1784 წლის 23 მაისის აბაზაძეების არზა მამულის თაობაზე. არზის თანახმად, აბაზაძეებს შინდარაში მათი ოთხი კომლი კვახიაშვილი სახლებია, მაგრამ „ამ ოთხი კაცის საკვამლო ასე დაკარგულა, რომ ერთი კვამლი ვეღარ გავაძლებინე იმ მამულზე, იქ მოსახლენი და იმათი მეზობელი ბოლოკაძე გახლამსთ, რომ იქაური მამულები სულ წვრილად იცის, ვისიც არის“.

აბაზაძეები ბატონიშვილ იულონს თხოვენ, რომ „ერთი ოქმი იმათ ებოძოს, რომ ღმერთის წინაშე სადაც ჩემი მამული იყოს და ვისაც ეჭიროს, ყველა სწორეთ მოგახსენოთ“.

არზაზა ბატონიშვილი იულონი ასეთ რეზოლუციას აკეთებს: „ბატონიშვილი იულონ გიბრძანებ ბოლოკაძეებო! მერე ამ არზით აბაზაძე რომ ასე ჩივის, ღმრთის წინაშე რაც ამისი მამული იყოს და იცოდეთ, ყველა უჩვენეთ, თავადიშვილს ეჭიროს თუ აზნაურშვილს, ხათრს ნურავის შეუნახავთ, ყველა აჩვენე“. 1886 წლის აღწერით, ხაშურში ბოლოკაძის გვარსახელის მატარებელი შემდეგი ოჯახები სახლობდნენ:

1. ოთარ ივანეს ძე ბოლოკაძე;
მისი ვაჟიშვილი - ზაქარია.
გაყრილია განაჩენის გარეშე მისი ბიძაშვილები.
2. ევსტაფე ივანეს ძე.
3. სოლომონ გიორგის ძე,
მისი ბიძაშვილიშვილები: მიხეილ სოლომონის ძე, პეტრე, დავით, ზაქარია და ვასილი გიორგის ძეები.
4. ივანე ქიტესას ძე, ქიტესა ქიტესას ძე;
მისი მეუღლე - ელისაბედ პეტრეს ასული;
მისი ქალიშვილი - ვარვარა;
მისი რძლები : პელაგია ანდროს ასული, სალომე გლახოს ასული.
მისი ბიძაშვილები: ნატალია, დარია ევსტაფეს ასული, ქეთევანი;
მისი მამიდა - მელანია ზაქარიას ასული;
მისი ბიძაშვილი - ნატალია გიორგის ასული;
მისი ბიძაშვილისშვილი - მარიამ სოლომონის ასული.
5. ადამ გაბრიელის ძე ბოლოკაძე;
მისი ვაჟიშვილი - პავლე (იგივე ლევანი);
მისი მეუღლე - მართა ნიკოლოზის ასული;
მისი დედა - მართა სიმონის ასული.
6. პეტრე იოსების ძე ბოლოკაძე;
მისი ვაჟიშვილი - იოსები;
მისი მეუღლოე - მართა პეტრეს ასული;
მისი ქალიშვილები - ეფემია, ალექსანდრა.
7. გიორგი სიმონის ძე ბოლოკაძე;
მისი ვაჟიშვილი - სოლომონი.

დაბრუნდაშვილი

ეს გვარსახელი გავრცელებულია ვაყაში, ზემო და ქვემო ოსიაურში, ხაშურსა და ხცისში.

საქართველოში 612 დაბრუნდაშვილი იყო 1995 წელს. აქედან თბილისში - 305, ხაშურში - 130, ქარელში -68.

ალ. ღლონტი აფიქსირებს მეტსახელს - დაბრუნდა.

ილია მაისურაძის მიხედვით, სავარაუდოდ, ზმნური წარმოშობის მეტსახელიდან - დაბრუნდა, - მომდინარეობს გვარსახელი. გადმოცემით, აღნიშნავს მკვლევარი, ბერძენაულიდან (სოფელი ქარელის რაიონში), თათრებს რამდენიმე მამაკაცი გაუტაცნიათ. ერთ-ერთი მათგანი გამოქცეულა და მისთვის „დაბრუნდა“ დაურქმევიათ.

საბუთები გვხვდება XVII საუკუნიდან საციციანოში. ჭოგაში (ხცისთან ახლოს) მცხოვრები დაბრუნდაშვილის მამული, ციცი ციციშვილსა და მამუკა მაღრაძეს შორის დავის გარიგების თანახმად, დარჩა მამუკას.

აგარაში მცხოვრები დაბრუნდაშვილი ივანა, ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის დროს, მამულით ერგო ედიშერს.

რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთრის თანახმად, დაბრუნდაშვილები გვხვდებიან ბერძენაულში (დაბრუნდაშვილი იესე, დაბრუნდაშვილი იორამ, დაბრუნდაშვილი დათუნა) და ოსიაურში (დაბრუნდაშვილი გიორგი, დაბრუნდაშვილი მამუკა).

XVIII საუკუნის 20-იან წლებში, ოსიაურში მცხოვრები დაბრუნდაშვილების ორი კომლი იესე მეფეს სეხნია ჩხეიძისთვის უბოძებია. ჩხეიძეს მარტიროზაშვილი სოლომონი შესდავებია. ამასთან დაკავშირებით, იესე მეფე მდივანს შერმაზანს მკაცრად აფრთხილებს, რომ დაბრუნდაშვილებთან, ჩხეიძის გარდა, ხელი არავის აქვს.

„...ლიშვილს და მდივანს შერმაზანს ასე უამბეთ. მერმე ჩვენ ამას წინათ მოლარეთუხუცესი სეხნიასათვის ოსიაურს ორი კომლი დაბრუნდაშვილები წყალობა უყავით, ახლა ასე მოგვეხსენდა, რომე მარტიროზისშვილი სოლომან შესცილებია. სადავ ესები სულ თქვენი ბრალია, ან იმას ხელი აქუს ამასთანა ან ჩხეიძის მამულთანა. თქვენ რა საქმე გაქუთ ან სარბელად და ან საიასაულოდ ან სარათმევლად. ამის მამულთან არცარა ხელი გაქუსთ და თუ კიდევ მოგვხსენდა მწვედ გიწყენთ იცოდეთ“.

1886 წლის საოჯახო აღწერების მიხედვით, ოსიაურში სახლობდნენ დაბრუნდაშვილების შემდეგი ოჯახები:

1. ალექსი ნიკოლოზის ძე დაბრუნდაშვილი;
მისი ვაჟიშვილები - გრიგოლი, გიორგი, ზაქარია;
მისი ბიძაშვილი - ედიშერ გრიგოლის ძე;
მისი ბიძაშვილისშვილი - მიხეილ ედიშერის ძე;
მისი მეუღლე - ეკატერინე პეტრეს ასული;
მისი ქალიშვილი - ალექსანდრა;
მისი მამიდები: სოფია გრიგოლის ასული, სიდონია სიმონის ასული.
2. გაბრიელ თევდორეს ძე დაბრუნდაშვილი;
მისი ძმა - სოლომონი;
მისი და - პელაგია.
3. ივანე პეტრეს ძე დაბრუნდაშვილი;
მისი და - ნატალია.
სოფელ ხცისში ცხოვრობდნენ:
4. ექვთიმე ბეროს ძე დაბრუნდაშვილი;
მისი მეუღლე - სოფია ივანეს ასული.
5. გიორგი პავლეს ძე დაბრუნდაშვილი.
გაყრილია განაჩენის გარეშე (ცხოვრობს თბილისში).
6. ევსტაფე გიორგის ძე დაბრუნდაშვილი;
მისი ვაჟიშვილები - მიხეილი, თევდორე, იოსები, პავლე;
მისი ქალიშვილები - ერმონია, ეფემია;
მისი მეუღლოე - თამარა შიოს ასული.

ხაშურის ბიბლიოთეკას წიგნები საჩუქრად გადასცეს

გიორგი ჩუბინიშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა თამარ ბელაშვილმა ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებას საჩუქრად გადმოსცა წიგნები, რომლებიც მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის ფონდში განთავსდება

ნანი!... ძალიან მიყვარხარ!

არის წუთები, როცა გრძნობ, რომ სადღაც მზე ჩაქრა, დაბნელდა და, წამიერად, წყვდიადთან ერთად, სიცივემ გადაუარა სამყაროს.

არის წუთები, როცა გრძნობ, რომ რაღაც მართლაც დასრულდა და დასრულდა ის შენში, და რომ ის, რაც დასრულდა, ამავე დროს, არის ის სინათლე, რომელიც მომავლისაკენ გზის გაგნებაში უნდა დაგეხმაროს. ასე სინათლესა და სიბნელეს შორის ხარ რამდენიმე წუთი და მერე გონება თავისით იწყებს ამ სიბნელიდან ნათელი წერტილების გამოხმობას, რომელიც ერთ დიდ შუქურად იქცევა და ამ შუქურას იმ ადამიანის სახელი ჰქვია, ვისმა ამქვეყნიდან წასვლამაც ამ ბნელსა და ნათელს შორის მოქანავე არსებად გაქცია.

დღეს ამ შუქურას ნანი გაჩეჩილაძე ჰქვია. ჩემდა სამწუხაროდ, ცხოვრების უსამართლობამ თუ დაუნდობლობამ ბევრჯერ მამყოფა ამ ბნელისა და ნათლის მიჯნაზე...

ჩვენი მეგობრობა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო. ამ დროისათვის ნანის უკვე თავისი ადგილი ჰქონდა დამკვიდრებული ხაშურის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მის მიერ წაკითხული ლექსი კი ხაშურელებისათვის იმ დროს ღმერთთან მიახლოებას ნიშნავდა. ბავშვობიდან იდგა სცენაზე, მღეროდა, კითხულობდა, მერე კი მის მიერვე ჩამოყალიბებულ სტუდიაში ნორჩ თაობას აფრთიანებდა და ხელოვნებას აზიარებდა. სადაც ნანი იყო, იქ იყო სილამაზეც, სითბოც, ღიმილიც, სიკეთეც.

ან კი როგორ შეიძლება დაივიწყო ის საოცარი სადამოები ჯერ კიდევ ქალაქის კულტურის სახლში რომ მართავდა. იქ ყველაფერი იყო: მუსიკაც, მხატვრობაც, პოეზიაც. გამოდიოდი იმ სადამოებიდან და გრძნობდი, რომ ეს ადამიანი გჩუქნიდა ფრთებს, რომლითაც ხელოვნებისაკენ მიმავალ გზაზე კი უნდა გევლო, უნდა გეფრინა.

ის იყო ხაშურელი - ამ სიტყვის ყველაზე ნათელი გაგებით, ის იყო ხაშურის სახე და ამას აღიარებდა ყველა... ის იყო ადამიანი, რომელსაც სიცოცხლეშივე შეეძლო ადამიანის დაფასება და სითბოსი და სიყვარულის მიგება, ხოლო გარდაცვლილთა ხსოვნა მისთვის უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა და ყველაფერს აკეთებდა, რომ დავიწყების ბურუსიდან გამოეხმო იმ ადამიანთა სახელები, რომლებსაც ჩვენი ქალაქის ისტორიაში თავისი სიტყვა ეთქვათ.

საუკეთესო ოჯახში გაზრდილს მშობლებისგან მოჰყვებოდა სითბო და სიკეთე. და ამასთანავე, პირდაპირობაც, არ დაუკარგავდა არავის ნაღვაწს, მაგრამ აუცილებლად ეტყოდა იმასაც, რაც მოსაწონი არ იქნებოდა.

დედობა კი მისთვის ის უწმინდესი ტვირთი იყო, რომლისთვისაც, როგორც თვითონ ამბობდა, ღირდა ამყვეყნად მოსვლა. აღმერთებდა თავის ერთადერთ შვილს და გიგამაც ყველაფერი გააკეთა მისი სიცოცხლისათვის ისე, როგორც მოსიყვარულე და ღირსეულ დედაშვილობას ეკადრება.

ასეთი იყო ჩვენი ნანა. ლამაზი, მუდამ გემოვნებიანი, ჩაცმის თავისი სტილით, სიარულის მანერით, ერთგვარი არტისტიზმით, დიდი გულით და ულამაზესი, სითბოთი სავსე თვალებით.

დიდი მეგობარი... ბევრისთვის .... ჩემთვის განსაკუთრებული... როგორ მითბობდა სულს მისი სატელეფონო საუბრები, როგორი მოფერება იცოდა. როგორი მზრუნველი და დამფასებელი იყო, როგორ მაკლია უკვე მისი შემოძახილი...

მტკივა? უფრო მეტი, თითქოს შეგუებული ვიყავით ამ აზრს. ლამის ექსი თვეა ებრძოდა სიკვდილს, ჩვენც ვებრძოდით აზრს მისი არყოფნის შესახებ, თითქოს თავს ვაჯერებდით, რომ ჩვენი ლამაზი და ამაყი მეგობრისთვის ამ მდგომარეობაში ყოფნას სიკვდილი სჯობდა, მაგრამ მაინც ძნელი აღმოჩნდა ის წუთი, როცა მისი არყოფნის ამბავი გავიგე.

ხაშურის ქუჩებს აღარ დაამშვენებს მისი ერთი საუკეთესო შვილთაგანი, ხაშურელებს დიდ სითბოსა და სიყვარულს ვეღარ მიაგებებს მათი მეხოტბე და დამფასებელი, დადარდიანდება ხაშური, ბევრჯერ მოისაკლისებს თავის გამორჩეულად ნიჭიერ შვილს და ეს იქნება ამავე დროს მისი უკვდავებაც.

უკვდავებისთვის კი მან ყველაფერი გააკეთა. მისი სახელობის ვარსკვლავი მომავალშიც მიეგებება მუსიკალური სკოლის სტუმრებს, მომავალშიც გაახსენებს ყველას, რომ ხაშურს ჰყავდა მომხიბვლელი ხელოვანი ქალბატონი, რომლის სახელი კიდევ დიდხანს გაჰყვება ჩვენი ქალაქის ისტორიას.

ახლა კი, ჩემო ნანი, შენი სიტყვებითვე უნდა მოგმართო. ტელეფონზე რომ დავამთავრებდით საუბარს, შენ იქვე იტყოდი: -მოიცა, ერთი ახალი ამბავი უნდა გითხრა, მე კი ვიცოდი რაც იყო ეს „ახალი ამბავი“ ძალიან მიყვარხარ! - ამას იტყოდი და ტელეფონს გათიშავდი.

ახლა მე უნდა დაგემშვიდობო იმავე სიტყვებით: ნანი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ჩემო დაო, ძალიან მიყვარხარ!

მურად მთვარელიძე

უმძიმესი დანაკლისი

D ხაშურის მუსიკალურმა საზოგადოებამ დაკარგა შესანიშნავი მუსიკოსი, ღვაწლმოსილი პედაგოგი ქალბატონი ნანი გაჩეჩილაძე.

ქალბატონმა ნანიმ მრავალი თაობა აღზარდა და აზიარა მუსიკალურ ხელოვნებას. ძალიან უყვარდა თავისი პროფესია, მის მიერ ჩატარებული თითოეული გაკვეთილი არ იყო მხოლოდ სტანდარტული მიწოდება ცოდნისა, მას თითოეული მოსწავლე მუსიკის ღვთაებრივ სამყაროში გადაჰყავდა.

ხაშურის მოსახლეობას, ძველსა თუ ახალ თაობებს ყოველთვის მადლიერებით გაახსენდებათ მის მიერ წაყვანილი უმშვენიერესი სადამოები, ხავერდოვანი ხმა, სითბო და სიყვარული, რომელსაც იგი სცენიდან მიაგებდა თითოეულ ადამიანს, ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელსაც აკადემიზმი ჰქვია. ქალბატონი ნანი უხდებოდა სცენას.

თავდავიწყებით უყვარდა ხელოვნება, პოეზია, მწერლობა, ფერწერა, ჰქონდა დიდი ერუდიცია, არისტოკრატიზმი და სისათუთე. იგი უდიდეს პატივს სცემდა ადამიანებში ნიჭიერებას, განათლებას, ცდილობდა ნიჭიერი ადამიანი ყველასათვის ცნობილი გაეხადა.

ქალბატონი ნანის ყოველმხრივი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა და 2016 წლის აპრილში, ხაშურის სამუსიკო სკოლის წინ, გაიხსნა მისი ვარსკვლავი.

მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ხაშურის საზოგადოებისათვის, სამუსიკო სკოლის პედაგოგებისა და აღზრდილებისათვის.

ნანი გაჩეჩილაძე – შემოქმედი, მოღვაწე, გამორჩეული ქალბატონი, პიროვნება, პედაგოგი, მუსიკოსი – მეგობარი – ყოველთვის ვინც კი მას იცნობდა და ვისთანაც ურთიერთობა ჰქონია.

ღრმა მწუხარებით და დიდი ტკივილით მივაცილებთ მას უკანასკნელ გზაზე. მსუბუქი იყოს ხაშურის მიწა, ქალაქისა, რომელიც მას ასე ძლიან უყვარდა და სადაც ის ძალიან უყვარდათ და აფასებდნენ. ის თავისი მშვენიერებით დააკლდა ქალაქს.

სამუსიკო სკოლის გაერთიანების თანამშრომლები

ნანის ხსოვნას

საოცარი ქალბატონი დაკარგა ხაშურმა, აი, ისეთი - მთელი ქალაქი რომ წლები ვეღარ ინელებს ამ ტკივილს და ისეთიც, მის გვერდით გატარებული ყოველი წუთი მთელი ცხოვრება რომ მიგყვება ნათელ სხივად. თავს ვხრით მისი ნათელი ხსოვნის წინაშე და გვჯერა , მის მიერ მუჭა-მუჭა ნაგროვი და მიმოფანტული სიკეთე კიდევ ბევრჯერ შეგვახსენებს თავს.

რეზო კოშკაძის ნახატი

რედაქციელები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.